ეთიკის კომისიის

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:
ციცინო ცხვედიანი – კოლეგიის თავმჯდომარე
თორნიკე ბაქრაძე – კოლეგიის წევრი
გოჩა სვანიძე – კოლეგიის წევრი

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 22.02.2016
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 002/16

შეკითხვა:

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ გამოიტანა განჩინება და ბრალდებულის ინტერესების დამცველი ადვოკატი საქმის არსებითი განხილვის საწყისი ეტაპიდანვე ჩამოაცილა საქმის განხილვიდან. „ადვოკატის საქმიდან ჩამოცილების“ მცნებას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, როგორც ასეთს არ იცნობს, ხოლო ადვოკატის აცილების საკითხი სასამართლოს სხდომაზე არ დამდგარა და არ განხილულა. მოსამართლემ ჩემი „საქმიდან ჩამოცილების“ ერთ-ერთ მთავარ არგუმენტად მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა.

მოცემული სისხლის სამართლის მრავალეპიზოდიანი ბრალდების საქმე არის განსაკუთრებული სირთულის და თითქმის ოთხ ათეულ ტომიანი საქმის დასაკითხ პირთა ნუსხაში მითითებულია ასეულობით მოწმე. მრავალეპიზოდიანი ბრალდების საქმის ერთ-ერთ ეპიზოდთან დაკავშირებით სასამართლო სხდომაზე უნდა გაგრძელებულიყო დაზარალებულის უფლებამონაცვლის დაკითხვა, რის შემდეგაც, ამავე ეპიზოდთან დაკავშირებით უნდა დაკითხულიყო სასამართლოში გამოცხადებული მეორე დაზარალებული (აღნიშნულის თაობაზე წინასწარ ჰქონდა გაცხადებული ბრალდების მხარეს). დაცვის მხარემ განაახლა და დაასრულა დაზარალებულის უფლებამონაცვლის ჯვარედინი დაკითხვა, რის შემდეგაც ადვოკატს ჰქონდა მოლოდინი, რომ ბრალდების იმავე ეპიზოდთან დაკავშირებით პროკურორი

დასაკითხად გამოიძახებდა სასამართლოში გამოცხადებულ მეორე დაზარალებულს. ბრალდების მხარემ ხსენებული დაზარალებულის ნაცვლად დასაკითხად გამოიძახა ბრალდების სხვა ეპიზოდში დაზარალებულად ცნობილი პირი.

რა თქმა უნდა, პროკურორს ჰქონდა ამისი უფლება, ვინაიდან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, პროკურორი თავად საზღვრავს ბრალდების მხარის მტკიცებულებათა გამოკვლევის რიგითობას. პროკურორის მიერ მოხსენებული დაზარალებულის დაკითხვის შემდეგ ადვოკატმა - დაცვის მხარის წარმომადგენელმა ითხოვა ოპტიმალური დრო, რათა ბრალდების „მთავარი ეპიზოდიდან“ "გადართულიყო ბრალდების სხვა ეპიზოდზე და მას მისცემოდა გონივრული ვადა დაზარალებულის დაკითხვის პროცესის სრულყოფილად წარსამართად. ადვოკატი საფუძვლიანად იყო გაცნობილი მასალებს, თუმცა საქმის განსაკუთრებული სირთულიდან და სპეციფიკურობიდან გამომდინარე, გონივრული ვადით შესაბამისი დამატებითი მომზადების გარეშე – შეუძლებელი იყო ათეულობით ტომში გაბნეული ამა თუ იმ ბრალდების ეპიზოდის გონებაში მყისიერი რეპროდუქცია და ბრალდების სულ სხვა ეპიზოდთან დაკავშირებით გამოძახებული დაზარალებულის დაკითხვის სრულყოფილი წარმართვა. აღსანიშნავია, რომ ბრალდების მხარემ ყოველთვის იცის, თუ რა თანმიმდევრობით და რომელი მოწმე უნდა დაკითხოს სასამართლოში, რისთვისაც წინასწარ ემზადება, ხოლო დაცვის მხარე მოკლებულია შესაძლებლობას წინმსწრებად იცოდეს, თუ ვის მოიყვანს პროკურორი დასაკითხად მორიგ სასამართლო სხდომაზე.

დასაკითხად გამოძახებული დაზარალებულის ჩვენებები კონკრეტული ბრალდების მოცემულობით დაკავშირებულია, როგორც სხვადასხვა საპროცესო აქტებთან, ასევე ათეულობით პირის ჩვენებებთან. ამდენად, შეუძლებელია ათეულობით ტომის მოცულობის საქმის იმ სიზუსტით დამახსოვრება, რომ ყოველგვარი მომზადების გარეშე დამცველმა სრულყოფილად წარმართოს პროკურორის მიერ მოყვანილი მოწმის დაკითხვა. ამდენად, 22 თებერვლის სხდომაზე ადვოკატმა იშუამდგომლა მოსამართლის წინაშე, რათა მისცემოდა გონივრული ვადა „დაზარალებულის“ დაკითხვისთვის მოსამზადებლად.

ადვოკატის ეს მოთხოვნა მოსამართლემ არ დააკმაყოფილა და მიუთითა, რომ თუკი დაუყოვნებლივ არ დაიწყებდა ადვოკატი მოწმის დაკითხვას, სასამართლო მიიჩნევდა, რომ დაცვას შეკითხვები არ აქვს და დაკითხვას გამოაცხადებდა დასრულებულად. ამის შემდეგ ადვოკატმა იშუამდგომლა შესვენების გამოცხადების თაობაზე იმ საფუძვლით, რომ ვინაიდან ბრალდების მხარე მოწმეთა დაკითხვას ახორციელებს არა ბრალდების ეპიზოდების თანამიმდევრობით, არამედ დასაკითხ პირებს იძახებს „ეპიზოდიდან ეპიზოდზე გადახტომით,“ ხოლო ბრალდების მოცემულ ეპიზოდთან დაკავშირებით ათეულობით ტომში გაბნეული მტკიცებულებების დამახსოვრება შეუძლებელია, ის, როგორც ადვოკატი, კონკრეტული ბრალდების ეპიზოდთან დაკავშირებით დამატებითი მომზადების გარეშე არ იყო მზად (და აქედან გამომდინარე არც ჰქონდა უფლება) განეხორციელებინა მოწმის დაკითხვა. შესაბამისად, იშუამდგომლა, გამოცხადებულიყო შესვენება და მისცემოდა დრო, რათა დაკავშირებოდა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას და კონსულტაციის შედეგად ჩამოყალიბებულიყო, მისი მხრივ ექნებოდა თუ არა ადგილი ბრალდებულის დაცვის უფლების დარღვევას, თუკი „ფორმალურად“ დაკითხავდა დაზარალებულს.

სასამართლო სხდომაზე გამოცხადებული ერთსათიანი შესვებების შემდეგ ადვოკატმა აცნობა მოსამართლეს, რომ დაუკავშირდა ეთიკის კომისიას, რის შედეგადაც დაცვის მხარემ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სათანადო მომზადების გარეშე – არ იყო უფლებამოსილი დაკითხვაში მიეღო მონაწილეობა და ვერ დაარღვევდა ბრალდებულის დაცვის უფლებას.
მოცემული სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულის ინტერესებს შეკითხვაში აღნიშნულ ადვოკატთან ერთად იცავს სხვა ადვოკატიც, რომელიც სხდომაზე ვერ გამოცხადდა საპატიო მიზეზის გამო. მოსამართლეს აღნიშნულის თაობაზე აცნობა ადვოკატმა და განუმარტა, რომ რომ დასაკითხი „დაზარალებულის“ ეპიზოდთან მიმართებაში და ამ ხაზით მისი კოლეგა ადვოკატი იყო მომზადებული და იგი ვერ გამოცხადდა ავადმყოფობის გამო, რის თაობაზეც მომდევნო სხდომაზე წარმოადგენდა შრომისუუნარობის ფურცელს. მოსამართლემ მყისიერად გამოიტანა საოქმო განჩინება, რითიც „ჩამოაცილა საქმიდან“ ადვოკატი და დანიშნა „სახაზინო ადვოკატი.“ მოსამართლემ საოქმო განჩინება „დაასაბუთა“ იმით, რომ ადვოკატი ხელოვნურად ახდენდა საქმის განხილვის გაჭიანურებას და არღვევდა ბრალდებულის დაცვის უფლებას. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატის მხრიდან ჰქონდა თუ არა ადგილი ბრალდებულის დაცვის უფლების დარღვევას, მაშინ როდესაც პროცესზე განაცხადა, რომ საქმის სირთულიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, ესაჭიროებოდა გონივრული დრო დაზარალებულის დაკითხვისთვის მოსამზადებლად, რის გარეშეც საპროცესო მოქმედება შეიძენდა ფორმალურ ხასიათს და დაირღვეოდა ბრალდებულის დაცვის უფლება.
საქმის სირთულიდან გამომდინარე, „ადვოკატთა შესახებ“ კანონისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმათა მოცემულობით, რამდენად მართებული იყო ადვოკატის შუამდგომლობა – სასამართლოს სხდომის მომდევნო დღისთვის გადადების ან რამოდენიმე საათით შესვენების გამოცხადების თაობაზე.

ანალიზი:

განსახილველ შემთხვევაში, ეთიკის კომისია ვერ შეაფასებს, თუ რამდენად დაირღვა ბრალდებულის დაცვის უფლება, მაშინ, როდესაც ადვოკატმა სასამართლო პროცესზე განაცხადა, რომ დაზარალებულის დაკითხვისათვის მოსამზადებლად ესაჭიროებოდა გონივრული დრო, რადგან სასამართლო პროცესზე შუამდგომლობის დაყენება წარმოადგენს ადვოკატის მიერ არჩეულ დაცვის სტრატეგიას კლიენტის საქმესთან დაკავშირებით.

ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატი თვითონვე განსაზღვრავს თავისი კლიენტის დაცვის სტრატეგიას და თვითონვე წყვეტს, რა მოიმოქმედოს კონკრეტულ შემთხვევაში, დაკითხოს ან არ დაკითხოს მოწმე თუ დაზარალებული, დააყენოს თუ არ დააყენოს რაიმე შუამდგომლობა, მათ შორის შესვენების გამოცხადების ან სასამართლო სხდომის გადადების შესახებ. ამ მოქმედებათა საჭიროება თვითონვე უნდა განსაზღვროს ადვოკატმა და იმოქმედოს ისე როგორც მისი აზრით, კლიენტის ინტერესებისათვის იქნება უკეთესი.

შეკითხვაში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რაც ეხება მოსამართლის მიერ ადვოკატის საქმიდან ჩამოცილებას, ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 41-ე მუხლის

პირველი პუნქტის შესაბამისად, მოცემულ საკითხზე რეკომენდაციის გაცემა სცილდება ეთიკის კომისიის კომპეტენციას.

დასკვნა:

ადვოკატი თავად განსაზღვრავს, თუ რა საპროცესო მოქმედებები განახორციელოს და როგორი ტაქტიკით იმოქმედოს კლიენტის ინტერესების დაცვისას. აღნიშნული საკითხების შეფასება არ მიეკუთვნება ეთიკის კომისიის კომპეტენციას.

ეთიკის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია არის მხოლოდ სარეკომენდაციო მოსაზრება და არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ეტაპზე.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ციცინო ცხვედიანი/

კოლეგიის წევრი: /თორნიკე ბაქრაძე /

კოლეგიის წევრი: /გოჩა სვანიძე/